შაბათი, 1918 წ. თიბათვის 4 № 108

ყოველდღიური გაზეთი

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ., რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

შაბათი, 1918 წ. თიბათვის 4 № 108

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უმართებლოდ გამოგზავნილი მასალა უკვალოდ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—8 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

**კონტორა**

პირველი აპრილიდან ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირებულება—18 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქგარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 8 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73.

## ცნობები:

ფოთში გერმანელთა ორი კრეისერი მოვიდა და დესანტი გადმოსხა. დესანტის დანიშნულებაა ჩვენი რკინის გზა დაიჭიროს.—გერმანელები საფრანგეთის ფრონტზე განაგრძობენ შეტევას.—დარიალში ბოლშევიკები დამარცხდნენ. მათი მეთაური მოკლულია.

დიმიტრი ივანეს ძე და ნინო ლევანის ასული შვილებითურთ: ვასო, ელო და ლიზიკოთი, ზარნაბიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი დედიდაშვილის

ლადო ჩერქეზიშვილის

ტრაღიკულ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება მიხაილოვის საავადმყოფოს ეკლესიიდან (დიდი მთავრის ქუჩა) დღეს 4 ივნისს. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 1—1640—1

გულდამწვარი ქმარი ალექსანდრე ელიზბარის ძე ჭიაურელი და დაძმანი: ნატალია, ვანო, მიხეილ და მარიამ ჭიაურელები აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 2 ივნისს ვერაგულად იქმნა მოკლული

მარიამ თეოდორეს ასული ჭიაურელისა

დაკრძალვა მოხდება საშაბათს 4 ივნისს ალექსანდრე ნევის სასაფლაოზე 11 საათზედ. 1—1639—1

## ახალი მოძღვრები.

საქართველოს მთავრობას ჯერ არ გამოურკვევია თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის გზები. ეს მხოლოდ გასაგებია, თორემ რუსეთის რევოლუციისა და ამიერ-კავკასიის დემოკრატიის ფრონტის ნანგრევებზე წარმოშობილი მთავრობა საით იზამს პირს და როგორი მიმართულებას მიიღებს ჩვენი პოლიტიკა, ეს ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს. მაგრამ რაც ჯერ კიდევ ვერ მოასწრო ჩვენმა მთავრობამ, იმას ასრულებს ჩვენი მინისტრების ამხანაგები გაზეთ „ბორბას" ფურცლებზე.

ჩვენ არაფერი გვექნება საწინააღმდეგო, თუ ჩვენი მინისტრები თავის ამხანაგების რჩევა-დარიგებას გამოითხოვენ. სანამ ვიტანთ მათ მეთაურობას, მათს მრჩევლობასაც შევურიგდებით. ხოლო ამისთვისაც უნდა იყოს ერთგვარი საზომი და საზღვარი. სანამ სამინისტრო თავის დეკლარაციით გამოვიდოდეს, მანამდე საქართველოს მომავალ პოლიტიკაზე ლაპარაკი ისეთის რიხით და მოურიდებლობით, როგორც ამას სჩადიან „ბორბას" ფურცლებზე, ცოტა უხერხული უნდა იყოს თვით ჩვენი მთავრობისათვისაც.

ჩვენმა მთავრობამ უნდა შეიგნოს რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისათვის არ კმარა მარტო ბოლშევიკებთან ბრძოლა, არამედ იმ პირების დატყვევება, რომელნიც საქართველოს მთავრობას არ ემორჩილებიან და ამის გამო ზარბაზნებს გასაღებებს უფუჭებენ. საჭიროა აგრეთვე ბრძოლა ისეთი პროპაგანდის წინააღმდეგ, რომელიც სახელს უტეხავს და ამცირებს ხალხის თვალში საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, მის მთავრობას, მომავალ პერსპექტივებს. მთავრობა ასეთს პროპაგანდას უნდა ებრძოდეს, მიუხედავად იმისა აწარმოებს ამას ქართველი ბოლშევიკი, რუსი კადეტი თუ რუსი სოციალდემოკრატი.

სოციალდემოკრატიული გაზეთი „ბორბა" მთელს მეთაურს უძღვნის იმის დასამტკიცებლად, რომ დამოუკიდებელი საქართველო არის „ერთი დღის" სახელმწიფო, რომ არაფერი მნიშვნელობა არ აქვს ასეთი რესპუბლიკების შექმნას და სხვა.

რასაკვირველია „ბორბას" მწერლები ამასთანავე რამოდენიმე ტკბილ სიტყვას უძღვნიან თავის ქართველ ამხანაგებს, რომ ისინი არ გაჯავრდნენ. აქებენ მათს ინტერნაციონალისტობას და სამართლიანად ღიარებენ ირაკლი წერეთლის სიტყვას, სეიმის უკანასკნელს კრებაზე წარმოთქმულს, რომ დღეს თუ საქართველოს მისი მეზობლები მტრულად არ ექცევიან, ეს ქართული დემოკრატიის ინტერნაციონალურ პოლიტიკის დამსახურებაა. რასაკვირველია შემცდარი იყო წერეთელი, ვინაიდან საქართველოს დღეს მეგობრულად ძვირად თუ ვინმე უყურებს და თუ ამას აქვს ადგილი, ეს ქართული ინტერნაციონალიზმის დამსახურება კი არ არის, არამედ საქართველოს ცხოვრების საუკუნეთა ნაშთია.

ინტერნაციონალური სამოსელი ვერ დაჰფარავს იმ ღვარძლსა და მტრულს გრძნობებს, რომელსაც იჩენენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამო ჩვენი მთავრობის გაზეთ „ბორბაში" მოკალათებული რუსი ამხანაგები. ამ მხრივ ერთნი აღმოჩნდენ რუსი კადეტები, რუსი სოციალისტ-რევოლიუციონერები, თუ რუსი სოციალ-დემოკრატები. როგორც სჩანს ჩვენი მთავრობის ლმობიერი პოლიტიკა ამ ვაჟბატონებს ისე გაუგიათ, რომ საქართველოს დედაქალაქში თავისუფლად შეიძლება საქართველოს დამოუკიდებლობის აზრება და გამასხარავება. მთავრობა, თუ მთავრობაა ის და არა პოლიტიკური შუტოფირა, შესაფერისი ზომების მიღება ჰმართებს ასეთი თავგასულობის წინააღმდეგ.

ჩვენ კიდევ გავიგებდით, რომ საქართველოს პოლიტიკური ვითარების ასეთს „იდეურ" დაფასებას ახდენდენ ის ფანატიზმით გამსჭვალული სოციალ-დემოკრატები, რომელნიც ჩვენს ცხოვრებასთან რითმე არიან დაკავშირებული, თუნდაც თავის უარყოფითი და ჩვენი ქვეყნისთვის საზიანო მოღვაწეობით. ხანგრძლივი ცხოვრება რომელიმე ქვეყანაში, ხანგრძლივი კვეთება და ფუჭებაც კი საქმის, შესაძლოა ერთგვარ ზნეობრივ უფლებებს აძლევდეს ამის ჩამდენთ.

მაგრამ, როდესაც ჩვენი სახელმწიფოებრივი აღდგენის შესახებ, ასეთს მოურიდებელს აზრებს გამოსთქვამენ სხვა და სხვა ჯურის რევოლიუციონური დეზერტირები, რომელნიც აქ ჩამოსულან მხოლოდ იმისთვის, რომ აქ მათ ბრძოლა არ უხდებათ თავის ძლიერ მოწინააღმდეგებთან—ბოლშევიკებთან, ყველამ უნდა შეიგნოს თუ როგორი ბუნებისაა ამათი „იდეური" მოღვაწეობა და მთავრობამ კი ზომები მიიღოს, რომ ასეთი მათი მოღვაწეობა საქართველოს საზღვრებ გარეშე სწარმოებდეს.

## ახალი გზით

ახლო მომავალი დიდის გამოცდით ემუქრება ჩვენ ეკონომიურს ცხოვრებას. აშკარაა, რომ მიუხედავად იმისა, როგორი შედავათიანი და ფართო თავისუფლებით იქმნება მოსილი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება, იმავე ჩვენი ეკონომიური ცხოვრება, ჩვენი მეურნეობა საშინლად უკან ჩამორჩენილი იყო.

ომმა და რევოლუციამ აწეწეს ჩვენი საქმიანობა, დაანგრიეს და შესამჩნევი ნაწილი ჩვენი დოვლათისა მთლად გაანიავეს. ამ ბოლო დროს ყველგან თითქმის მთელ საქართველოში, განსაკუთრებით კი ქართლში და კახეთში ძირიან-ფესვიანად მოიხსნა ინტენსიური მეურნეობა. მეურნეობის ყოველ დარგს—მებაღეობიდან დაწყებული მესხვარეობით გათავებული ყველაფერს მოხვდა მძუსრავი ხელი ანარქიისა. მოისპო ისეთი რამ, რომლის განადგურება უმეცრებისათვის ერთი საათის საქმე იყო, მაგრამ რომლის აშენებაზედ დაილევა დიდი ოფლი, თანამედროვე ცოდნა და ათეული წლები მუყაითი, განათლებული და პატიოსანი შრომისა. ეს დიდი ზარალია ჩვენი ქვეყნისათვის ქონებრივადაც და კულტურულადაც და არც ისე ადვილია მისი აღდგენა.

მაგრამ ჩვენ მოგველის არამც თუ ამ ძველი მდგომარეობის აღდგენა, არამედ ჩვენ წინ არის აუცილებლობა ნამდვილი ევროპიული ეკონომიური საქმიანობისა. და ამ საკითხს სამკვდრო-სასიცოცხლო ხასიათი აქვს ქართველი ერისათვის. ჩვენ ომამდე როგორც იყო ვაჩანჩალებდით წუთისოფელს, მაგრამ მაშინ უკან ჩამორჩენილ რუსეთთან ვცხოვრობდით და არც საერთო, არც ჩვენი საკუთარი მოთხოვნილება დიდი არ გახლდათ.

სულ სხვაა დღეს, როდესაც ჩვენი ახალი ცხოვრება სულ ახალს ხარჯებს მოგვთხოვს.

გარდა ამისა ომის გათავებით—ეკონომიური ბრძოლა ხომ არ გათავდება და ვაი სწორედ ამ ბრძოლაში დამარცხებულთ. ამ მხრივ თუ ჩვენ დღემდის რუსულ გუთანთან და ცელთან გვქონდა საქმე—დღეიდან ჩვენ უახლოვდებით ორთქლსა და ელექტრონის ძალას. მართალია ეს დაახლოვება მეტად დიდ უპირატესობასაც გვაძლევს ხელში. მას თანამედროვე ტეხნიკის და ცოდნის წყაროსთან მივყევართ. ჩვენი საქმეა ვისარგებლებთ ამ უპირატესობით თუ არა.

აქ ისე დიდი ფიქრი არ არის საჭირო, როგორც დიდი სიფრთხილე გონებისა და დიდი სარისტიანი შრომა.

ჩვენი პატარა ქვეყანა ბუნებით კარგათ მდიდარი გახლავთ. მოსახლეობა მჭიდროა და იგი საჭირო მუშა ხელს ამ სიმდიდრის დასამუშავებლად სულ მუდამ მოგვცემს. დღეს, ამ ბობოქრობის დროს ჩვენი ხალხი მართალია შრომაზე გულ-აყრილია. მაგრამ ბუნებით იგი მშრომელი, მუყაითი, სარისტიანი მუშა ხალხია. ბევრი რამ არის მოქმედი იმისა, რომ დიდი პოტენციალური ძალა არის ჩამარხული ამ ხალხში, მიუხედავად იმისა, რომ ის, არც ისე ახალგაზდა ერი გახლავთ. ამ მხრივ თუ ჩვენ მდგომარეობას არა უჭირს რა, სამაგიეროთ არაფერი საიმედო არ გახლავთ ტეხნიკისა, ტეხნიკურის ცოდნისა და ეკონომიური აზროვნების მხრივ. რა მოგვეპოვება პირველ დარგში—ეს ყველა ჩვენგანმა იცის. საშინელ სიღარიბეში ვიმყოფებით ამ მხრივ.

ჩვენში გაბატონებული ეკონომიური აზროვნება, თუ აზროვნება დაერქმის მას, ყოველგვარ ფიტს უკარგავს, ასეთ სიღარიბიდამ თავის დაღწევის ყოველგვარ აღდგენს უკლავს ხალხს. აქ დიდი რუსეთის უბედური მემკვიდრეობა სჩანს. რუსული აზროვნება ეკონომიურ საკითხებში ვერ ითვისებდა სამეურნეო ცხოვრების სინამდვილეს, მოკლებული იყო ყოველგვარ ცოცხალ გრძნობას მისდამი. მისი მსჯელობა მუდამ განყენებული ხასიათისა იყო და თუ პრაქტიკულად აყენებდა საკითხს, რუსეთი სულ მუდამ მომხმარებლის თვალსაზრისზედ იდგა. რუსეთის აზროვნება არამც თუ არ აღიზარდა ევროპიულ სკოლაში, არამედ მას არც კი ემჩნეოდა არავითარი სურვილი და ცდა მწარმოებელ ძალთა გაძლიერებისა. ეს რუსული სიკვდილის ფერი დაღი რაც შეიძლება მალე უნდა მოვიშოროთ. ლუშის სუნით ავსებს იგი ჩვენ ცხოვრებას. შაბლონი და უშინაარსო ეკონომიური პროგრამმა ჩვეანი სოციალისტებისა—ნამდვილი ლუში გახლავთ ჩვენი ცხოვრებისათვის. თუ დაიხა პროგრამის პოლიტიკური მუხლები—მით უფრო უნდა ამოირეცხოს მავნე უტოპიზმი. თუ გასწორდა გადაბრუნებული ტვინი პოლიტიკურ აზროვნებასთან, ეკონომიური აზროვნებაც უნდა შეისწოროს მან.

საკმაოთ დიდი ცხვირპარი შევწირეთ მათ მიერ ნაწარმოებ ექსპერიმენტებს.

დღიდამ რევოლუციის დაწყობისა დღემდე ყოველი მთავრობა სოციალისტურს ეკონომიურს პოლიტიკას აწარმოებს. რა ოქროს მთები ააშენეს —ვიცით ეს! მრეწველობა დაეცა, ვაჭრობა შეჩერდა, სოფლის მეურნეობა ძველი დოვლათის ხარჯზე ცხოვრობს, ფინანსები მომავალი თაობათა ხარჯზე იკვებებიან, პური და ცოდნა გაიკრიფა, მუშა პროლეტარიანცი შეიქნა. ასე ხორციელდებოდა პარტიული ეკონომიური პროგრამმა. სხვა რომ არ იყოს, ჩვენ საკუთარ თავზედ ვგრძნობთ და მომავალის შესაფერს მსჯავრს დასდებს იმას, თუ რა ზარალი მოგვიტანა კერძო ინიციატივის ისეთმა უმოწყალო დახშობამ, რომელსაც პროგრამმის მუხლი ქადაგებდა. ასეთს შაბლონს ბოლო უნდა მოეღოს. ქართველი კაცის გონება უნდა განთავისუფლდეს ასეთი პრიმიტიული აზრებისაგან, რათა შესწვდეს თანამედროვე ეკონომიური პერსპექტივების სიფართოვეს და სილაღეს.

თორემ რასაც დიდი რუსეთი აიტანს, იმას ჩვენი პატარა ერი ვერ ზიდავს. ჩვენი სოციალისტები უნდა მიჰყვენ „უმოწყალო ნაციონალიზაციას" და აქ სწავლა თავიდან უნდა დაიწყონ. ნამდვილი და პარტიულ პროგრამებში ჩაწერილი ოფლი ფუჭი გამოდგა და უნდა წაშალონ იგი. ჩვენი აშენებლობა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს სინამდვილეზე უნდა დამყარდეს და ნაცად საშუალებით უნდა აშენდეს. ჩვენი სინამდვილე—ჩვენი მდიდარი ქვეყანა, მშრომელი და მჭიდროთ მოსახლე ხალხით — ნაცადი იარაღია—ევროპიული გზა და ევროპიული აზროვნება ეკონომიური შემოქმედებისა.

ზ. ქ—ძე.

## „ერთობის" ეტიკეტი

წვრილმანი მოვლენანი ყურადსაღებია იმდენად, რამდენადაც მკაფიოდ ახასიათებენ ცხოვრების განსაზღვრულ მხარეს. მთელი ჩვენი ცხოვრება, ერთი მეცნიერის დამოწმებით, წვრილმანებისაგან შესდგება.

ერთს ფრიად დამახასიათებელ წვრილმანზე დიდი ხანია მიგვიქცევია „ერთობის" ხელმძღვანელების ყურადღება. ამ გაზეთს პირველ ივნისამდე თანაუძღოდა წარწერა: რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. არ ვიცით, რამდენად შეეფერებოდა უწინაც ქართულ სოციალდემოკრატიას ქუდზე რუსული დიდის ტარება, მაგრამ, ყოველს შემთხვევაში, მას შემდეგომ, როდესაც ჯერ ამიერკავკასია და მერმე საქართველო საბოლოოდ ჩამოჰშორდა რუსეთის სახელმწიფოს, ზემოხსენებული წარწერა სრულს გაუგებრობას ჰბადებდა. ეს ფაქტი სოციალდემოკრატების გულმავიწყობით არ აიხსნება მხოლოდ, მით უმეტეს, რომ „საქართველო"-ს არა ერთხელ და ორხელ დაუგმია ამ ყოველის მხრივ შეუსაბამო ნიშნის ტარება.

ჩვენ უკვე მივეჩვიეთ ქართველ სოციალდემოკრატების მიერ ცვალებადი ცხოვრების უკან მისჩანჩალობას. ფაქტებისა და პოლიტიკურ მოვლენათა ძლიერ ხვეთ იფარგლებოდა სოციალდემოკრატების უკანასკნელი დროის სახელმწიფოებრივი „შემოქმედება", მათს ეროვნულ პოლიტიკას კი ყოველთვის ნაძალადევი ხასიათი ჰქონდა.

საქართველოს დამოუკიდებელ სახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმწიფოდ გამოცხადების შემდგომ „ერთობა“ ქართველ ხალხს უსაყვედურებოდა კვლავ, როგორც რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტიის წევრი. რისთვის, იკითხავთ? ტრადიციით? მაგრამ ყოველი ზნე ჩვეულება დროზე უნდა შეწყდებულ იქმნას. იქნებ, წვრილმანობაა ყოველივე ეს და წარწერა მიტომ რჩებოდა ძველი? მაგრამ „ერთობის“ გუშინდელი ნომერი გვიმტკიცებს, რომ წარწერასაც აქვს მნიშვნელობა და დღევანდელს პირობებში ქართველ დემოკრატიისთვისაც სულ ერთი არ არის, ვინ ჰპატრონობს მას,—რუსეთის, თუ საქართველოს სოციალ-დემოკრატია!

ასეა თუ ისე, რუსული დადი ჩამოიშორა „ერთობამ.“ მკითხველი, უეჭველია, იფიქრებს, რომ სიტყვა „რუსეთის“ ნაცვლად სოციალ-დემოკრატიული გაზეთი მოათავსებდა „საქართველოს“, მაგრამ, როგორც ყოველთვის, „ერთობა“ ამ შემთხვევაშიაც მაჩანჩალობას ირჩევს: ახლა იგი გამოდის „სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის“ ორგანოდ! ყოველს სახელმწიფოში სოციალ-დემოკრატია მოქმედობს სახელმწიფოებრივ—ეროვნულ პარტიად; ჩვენ ვიცით გერმანეთის, საფრანგეთის, ავსტრო-უნგრეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, მაგრამ არც ერთი სახელმწიფოსი, თუ ერის სოციალ-დემოკრატია არ ურიდება თავისი ნაციონალურ მოძღვრების აღნიშვნას და არ მოგვევლინება ზოგადი სახელწოდებით. მსოფლიო სოციალ-დემოკრატიის მებაირახტრედ, მგონია, არ გამოდგება „ერთობა“, ასე რომ ნოლენს იგი იძულებული შეიქნება მიეკედლოს ვისმე და გამონახოს შესაფერი წარწერა. რამოდენიმე ხნის შემდგომ „ერთობა“ ისევ დასათმობს ჯიუტობას და მიითვისებს კანონიერ ეპიტეტს: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანო!

არა სჯობია ამ ცვლილების დროზე მოხდენა?

რ. არველაძე.

## პრესა

ადგილობრივი გერმანული გაზეთი „Kauk. Post.“ უძღვნის ვრცელს მუთავრულ წერილს თანამედროვე პოლიტიკურს მდგომარეობას და უმეტეს ოსმალეთის მიერ წამოყენებულს ულტიმატუმს.

ცნობილი ფრანგული ანდაზა ამბობს: მადა ჭამაში მოდისო, და თუმცა ოსმალნი ამ ომის დროს ფრანგების მოწინააღმდეგენი არიან, მაგრამ მათ გამოცდილებას ჭამის შესახებ სწორედ რომ სიამოვნებით ითვისებენ, ამავე დროს ოსმალნი ისეთ მადას გვიჩვენებენ, რომ კაცმა შეიძლება იფიქროს თითქოს მათ კანიბალისტური სიმშილი აწუხებთ.

გაზეთი შემდეგ იხსენიებს ოსმალთა ულტიმატუმს ერევნის გუბერნიის ნაწილის, ახალქალაქის და ახალციხის მაზრების გადაცემის შესახებ და ამბობს:

სწორედ რომ სასაცილოა. ბოსფორის „ჯვალმყოფი“ და ასეთი ლონიერი მჭამელი! მაგრამ ამ სასაცილო გარემოებას ხომ მწარე სინამდვილე ახლავს თან, რამდენიმე ასი ათასი ადამიანის უბედურებაა, რომელნიც ამ უძლიერ მადას ანსხნილობის ქვეშ უნდა მოჰყვნენ...

გაზეთი არკვევს ულტიმატუმის უსაფუძვლობას და განაგრძობს:

ადგილობრივი პრესა სამართლიანად აღნიშნავს, მცირეოდენ გამონაკლისის გარდა, რომ ეს ულტიმატუმი წარმოადგენს პოლიტიკურ შანტაჟის მაგვარ ცდას, ხოლო მისი დასაბუთება არის საუკეთესო ნიმუში დიპლომატიურ ვერაგობისა და ფაქტების განზრახ დამახინჯებისა. მართლაც 1) თუ ოსმალეთის მთავრობა უკვე დასთანხმდა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულობის გატარებას, რომელი ხელშეკრულობაც იცნო აგრეთვე ამიერ-კავკასიის დელეგაციამაც, მაშინ მხოლოდ რწმენას ამიერ კავკასიის რესპუბლიკის სისუსტის შეგნებამ [illegible] მიერ, ცხადად [illegible] მაგრამ ეს ხომ [illegible]. ხოლო 2) [illegible]

კარგად უწყის, რა გარამოებებში და ვისი მიზეზით წარმოსდგნენ ეს ბრბოები. ოსმალეთმა, რასაკვირველია, ისიც უნდა იცოდეს, რომ ამ ყაჩაღთა ბრბოების რბევას არც თუ იმდენად თურქნი და თათარნი ითმენენ, როგორც სხვა ტომისანი: სომხები, რუსები, ბერძნები და სხ.

ულტიმატუმი, რასაკვირველია, არ იქნება ნებაყოფლობით დაკმაყოფილებული მას გაატარებენ ძალით, რაც კიდევ ახალი უბედურების და ახალი საშინელებათა მომასწავებელია. ადვილად შეიძლება მხოლოდ მოხდეს, რომ ოსმალეთის გულზვიადობას სხვა მხრიდან მეგობრულად და მსუბუქად გამანელებელი ვინმე მოევლინოს, ყოველს შემთხვევაში იმ მოთხოვნილებათა შესახებ მაინც, რომელიც საქართველოს ტერიტორიას შეეხება, ფოთი—თბილისის რკინის გზის დამოუკიდებლივ და თბილისის გარეთაც: განჯის მხრისკენ, სანდარ სანაინისაკენ და ალექსანდროპოლისაკენ. უახლოეს დროში ვითარება ამ მხრივ გამოირკვევა და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მოსაზრებანი გამართლდებიან.

## ომი

### დასავლეთის ფრონტზე.

#### გერმანეთის ცნობა.

ბერლინი. ივნისის 1. ოფიციალური. დასავლეთი ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ჯარების მოქმედება. მთელს ფრონტზე მრავალგზით განმეორდა საარტილერიო ბრძოლა. იპრის სამხრეთით მტრის ხშირი იერიშები სრულის მარცხით დამთავრდა.

უაზის სამხრეთით და აზონის სამხრეთ დასავლეთით გენერალ ჰოფმანის ჯარებმა აიღეს მტრის ძლიერი პოზიციები, რომელნიც კიუზის მახლობლად სძევენ, პლენარკურტის სამხრეთით. სასტიკი იერიშებით მივუახლოვდით ჩრდილოეთ ესნეს—ნუვრონ—ფრონტენუას. ფრანგთა კონტრიერიშები სასოწარკვეთილებით ხასიათს იღებს, თუმცა სრულიად ახალი ძალებით შეტოვეტიეს სუასონ-ჰარტენის მიმართულებით. ყოველი მათი იერიში ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა. უკან დახეულს მტერს ფეხ და ფეხ დავუწყეთ დევნა შოდუნ—ვიერზი—პლენზის მახლობლამდე. მდ. ურსის ორთავე ნაპირებზე გადავლახეთ სუასონ—შატო-ტიერის გზები და მტრის პოზიციების ახალს ხაზს მივუახლოვდით ნეილის აღმოსავლეთით და შატოტიერის ჩრდილოეთით. შატო-ტიერისა და დორმის აღმოსავლეთით ჩვენ პოზიციები გავიმაგრეთ მარნაზე. მარნისა და დორუიქის შუა იერიშებით ავიღეთ ვერნეიდ—ოლიზი—მარსი—შამპანის ხაზი. გუშინდელს ომებში რამდენიმე ათასი ტყვე ჩაგვივარდა. საფრანგეთ სამხედრო დავლის ანგარიშში ვართ. ორს უკანასკნელს დღეში ჩვენ ჩამოვაგდეთ მტრის 36 აეროპლანი. ლეიტენანტმა მენჰოფმა ჩამოაგდო მე-28 აეროპლანი, ლეიტენანტმა ლეველმა მე-25, ხოლო ლეიტენანტ კროლმა მე-24 აეროპლანი. მთავარი კვარტირმეისტერი ლუდენდორფი.

ბერლინი. ივნისის 1. ოფიციალური. ნოდიონით ჩვენ გავიმაგრეთ მთელი ნოდიონის ხაზი ნუაიონიდან შატო ტიერამდე.

#### საფრანგეთის ცნობა

პარიჟი. ივნისის 1. ოფიციალური. მთელი დღის განმავლობაში აღსანიშნავია გერმანელთა ძლიერი იერიშები უაზისა და მარნის შუა გაჭიმულს ფრონტზე. ფრანგთა ჯარები წინ და უკან სვლით ბოლოს იძულებული გახდნენ დაეუთმოთ გაცილებით მრავალრიცხოვან მტრისათვის. მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. უაზისა და ენის შუა ფრანგებმა თავიანთ პოზიციები გადაიტანეს კარლეპონტის ტყის ჩრდილოეთით გადამავალს ველზე და ოიზან კურტის აღმოსავლეთით მაღლობებზე ფონტენუამდე. გერმანელთა ცდამ, რომ სუასონის აღმოსავლეთით და [illegible]

მონტიე და ინტრეპილის ხაზზე, პოზიციების შტო ტიერთან უკერიათ. მარნის ჩრდილოეთ ფრონტზე, დორმან-არეიმსის მიდამოებში ფრანგები მტკიცედ იცავენ პოზიციებს, განსაკუთრებით ვილ-ენ-პარტ-ნუარის ჩრდილოეთით, მიუხედავად იმისა, რომ მტერმა მრავალგზის იერიშებით სცადა მათი აღება. რეიმსის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელთა ჯავშნიანმა ავტომობილებმა ძლიერი იერიშით გვაიძულეს ფორტი ტომპელი დაგვეცალა, მაგრამ მალე მაშველი ჯარი მოგვეშველა და ტყა კონტრ-იერიშებით კვლავ დავიბრუნეთ დაკარგული სიმაგრე. პოზიციები აღდგენილია. ხელთ ვიგდეთ 200 ტყვე და 4 ავტომობილი დაგვრჩა დავლად.

ბერლინი ივნისის 1. გერმანეთის ახალმა სამხედრო ხელოვნებამ მინიმუმამდე ჩამოიყვანა ჩვენი ჯარების დანაკლისი, მაშინ როდესაც მტრის მხრით მაქსიმუმამდე აიყვანა. დალევ-ვეიგთან და აისნესთან გადახდილ ფიცხელ ომებმა უკვე ბრწყინვალედ დაამტკიცეს, რომ გერმანეთის ჯარებში სიკვდილი იშვიათი შემთხვევაა, ხოლო თავდაცვა საოცარის სიადვილით ხდება.

ბერლინი. ივნისის 2. ოფიციალური. კრონპრინც რუპრეხტის არმია. ფრონტის ბევრს ადგილას საარტილერიო ბრძოლაა. ლისის სამხრეთით და ალბერტის ჩრდილოეთით ინგლისელებმა რამდენჯერმე იერიში მოიტანეს, მაგრამ დიდის ზარალით უკუგდებულ იქმნენ.

გერმანელთა კრონპრინცის არმიის ფრონტი. ნუაიონის სამხრეთით მტერს უკან დავახევინეთ, თუმცა სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. მალკალეპონტისა და მონტანის ტყისკენ დაიხია. ჩვენ ავიღეთ მულენ-სუ-ტუვენის აღმოსავლეთი მაღლობები და ნუვსონის დასავლეთით ძალზედ გამაგრებული მავთულის ხლართების. მდ. ურსის ორთავე ნაპირზე იერიშებით უკუვაგდეთ მტერი სავიერის სექტორს იქით და პასსი და კურმანის მაღლობები დავიჭირეთ. მარნაზე მდგომარეობა უცვლელია. შატოტიერის პოზიციები უკვე გაწმენდილია მტრისგან. ვერმელლის ჩრდილო-აღმოსავლეთით და არდის ორთავე ნაპირებზე ფრანგებმა ძლიერი კონტრ-იერიშები მიიტანეს, რომელიც მეტად ძვირად დაუჯდათ მათ. რეიმსის აღმოსავლეთით ფრანგთა თხრილებში შევიჭერით სენ-ლეონარდის გვერდით, ფორტ პომპერის კამანდა ტყვედ ჩაგვივარდნენ... (გაშვებულია). ფერ-ან-ტარდენუას გასწვრივ ჩვენს ხელში გადავიდა ნახევარ მილიონი ზარბაზნის ტყვია, და აუარებელი საინჟინერო მასალა. ათასობით ვაზიდებით საბარგო ურმებს.

#### პრესა ომის შესახებ.

ფრანგთა ჟურნალ-გაზეთებში დიდი შეშფოთებაა გერმანელთა გამარჯვების გამო. განსაკუთრებით ჰლელავენ რკინისგზების დაკარგვაზე, რომელთაც მიჰყავხართ შალონსა და პარიზისაკენ. მდგომარეობა ფრიად სერიოზულია. ეს შიში 1914 წ. მარნაზე გადახდილ ბრძოლის შემდეგ თანდათანობით იზრდებოდა და ეხლა უმაღლეს წერტილს მიაღწია. ინგლისური გაზეთი „ტაიმსიც“ ამტკიცებს, რომ ფრანგთა ყოფნა-არყოფნის საკითხი პირდაპირ კარტაზეა დაყენებული. ამასვე ფიქრობენ რუსული გაზეთები. „გოლოს კიევა“-ში სწერენ: „ფრანგთა უმთავრესი ფრონტი გარღვეულია, გერმანელთა მახვილი პირდაპირ საფრანგეთის გულზეა მიბჯენილი“.

## მთავრობის წრეებში

სამხედრო მართველობის რეორგანიზაცია. სამხედრო მინისტრის მოხსენებით ეროვნებითი სამხედრო უწყების დაარსების შესახებ მთავრობამ მიიღო პროექტი, რომლის მიხედვითაც სამხედრო მმართველობის სათავეში სამხედრო მინისტრი იდგება. მმართველობას დაექვემდებარება შემდეგი დაწესებულებანი და პირნი: სამხედრო მინისტრი, მისი ამხ., სამინისტრო და კანცელარია; მინისტრის ამხანაგი [illegible]

მასთან იქნება სურსათის და იარაღის მიმწოდებელ დაწესებულების უფროსის კანცელარია ინფანტერია, არტილერია, საინჟინერო და საინტენდანტო. საველე შტაბი მშვიდობიან დროს ისე შესდგება რომ მუდამ მზად იქნება ომისთვის. მთავარი შტაბი აკადემიური დაწესებულებაა, მას დაკისრებული ექნება ზურგის ფუნქციების შესრულება, სახელმწიფოს დაცვა, მობილიზაცია, ტოპოგრაფია, კანონპროექტების შემუშავება და სხ.

—

იუსტიციის მინისტრის ამხანაგად გ. გველესიანი დაინიშნა.

—

ეროვნულ სამხედრო ნაწილთა და თხოვნილ დაწესებულებათა მოხამსახურეების დასაკმაყოფილებლად მთავრობამ დაადგინა, ფინანსთა მინისტრის დავლალოს კომისია შეადგინოს სახაზინო პალატის გამგის თავმჯდომარეობით და სომეხთა და მაჰმადიანთა ეროვნულ საბჭოების წარმომადგენლების მონაწილეობით.

—

თათბირი. სწავლა-განათლების სამინისტროს ინიციატივით 2 ივნისს შესდგა საგანგებო თათბირი გ. ლასხიშვილის მონაწილეობით. განხილულ იქნა სამოსწავლო კომისარიატის გაუქმების და სხვა საკითხები.

—

მთავრობის დადგენილებით სურსათის მიმწოდებელი კომიტეტი მიწათმოქმედების სამინისტროს დაუქვემდებარეს.

—

მთავრობამ შინაგან საქმეთა მინისტრს წინადადება მისცა პოლიტიკურ ხასიათის დეპეშები მინისტრს პრეზიდენტის და შინაგან საქმეთა მინისტრის ნებადაურთველად არ გაიგზავნოს.

—

მთავრობამ დაადგინა ფოთის ნავთსადგურის მუშებისთვის 1 მილიონი მან. გადასდეს 10 მილიონიან ფონდიდან.

—

მთავრობამ დაადგინა მოწვეულ იქნეს თათბირი მცოდნე პირების მონაწილეობით. თათბირმა უნდა შეიმუშაოს სასურსათო საქმის გასაუმჯობესებლად შესაფერი გეგმა.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

გუშინ დღის 2 საათზე შესდგა დახურული კრება ეროვნული საბჭოსი. კრების დანიშვნას კავშირი ჰქონდა ბათომში მყოფ. დელეგაციისაგან მოსულ ცნობებთან.

1 ივნისს საბჭომ აირჩია სხვა და სხვა კომისიების წევრები ფრაქციათა შორის წინასწარ შეთანხმების თანახმად.

საბიუჯეტო კომისიაში არჩეულნი არიან: ეგ. გეგეჭკორი, ნ. ზ. ელიავა, დ. თოფურიძე, ა. ჭიაბრიშვილი, იას. ლორთქიფანიძე, ფარნაოზიშვილი, ს. მდივანი. პ. ქავთარაძე და შ. კაუხჩიშვილი.

სამხედრო კომისიაში: ნ. ნ. ჟორდანია, ე. პ. გეგეჭკორი, ვ. ჯუღელი, ვ. თევზაია ვ. გობეჩია, ი. გედევანიშვილი, შ. მიქელაძე, დ. ვაჩნაძე და კ. აფხაზი.

იურიდიულ კომისიაში: რ. არსენიძე, ანდრონიკაშვილი, კ. ნინიძე, მ. რუსია, გობეჩია, გ. რცხილაძე, ი. ბარათაშვილი, ი. აბაშიძე და რ. ივანიცკი.

აგრარულ კომისიაში: რ. ჩიხლაძე, ა. ცაბაძე, კ. ნინიძე, მ. მაჩაბელი, ჯავერიშვილი, თ. ღლონტი, პაპავა და ანდრონიკაშვილი.

მუშათა კომისიაში: თორაძე, ურაძე, შენგელია, გაბაშვილი.

საპარლამენტო კომისიაში: ანდრონიკაშვილი, არსენიძე, ჯაჯანაშვილი და მეხხი.

—

საქმეთა მმართველად დაინიშნა ივ. ჯაფარიძე (ზესტაფონელი); მის თანაშემწედ ილია ზურაბიშვილი. (ერ. დემ.)

—

საბჭოს საქმის მწარმოებლად დანიშნულ [illegible] ნაშაჰიძე [illegible]

—

სოც.-ფედერალისტ. პარტიის ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულია ს. ფირცხალავა.

### დეპეშა საბჭოს სახელზე

საბჭოს მიუვიდა ქუთაისიდან შემდეგი დეპეშა:

საქართველოს ეროვნულ საბჭოს ქუთაისის მოქალაქეთა კრება აღფრთოვანებული საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით მხურვალე სალამს უძღვნის თავისუფალ საქართველოს მთავრობას და უსურვებს მას სასახელოთ წაუძღვეს ახალის სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეს ერისა და ქვეყნის ასაყვავებლად.

თავმჯდომარე ტრიფონ ჯაფარიძე.

## საქართვ. და გერმანეთი

### გერმანელების კრეისერები ფოთში.

1 ივნისს ფოთში მოვიდა გერმანელთა [illegible] კრეისერი. გერმანელების ჯარები თბილისისკენ გამოემგზავრენ.

### გერმანელები სად. ფოლადზედ.

თფილისისა და ყაზახის მაზრების საზღვარზე გერმანეთის დროშა ამართულია სად. ფოლადზედ. ამ ამბავს ადგილობრივი თათრობა დიდის სიხარულით შეხვდა. ყველას იმედი აქვს, რომ წესიერება დამყარებული იქნება.

ყაზახის მაზრაში გაჩნდნენ ოსმალო აფიცრები, რომელთა ბრძანებით ხალხს იარაღი ჩამოართვეს. ხალხში ხმა გავარდა, ოსმალები მალე ადგილობრივ მცხოვრებთაგან ჯარს მოაგროვებენო.

გარდა ამისა ოსმალებმა გააწერეს მცხოვრებრ 14 გირვ. ფქვილი კომლზედ. ხალხი ძალიან უკმაყოფილოა ოსმალების მოსვლით. გლეხობაში იზრდება საქართველოს ორიენტაცია და გაისმის ხმები საქართველოსთან შეერთების შესახებ. როგორც ცნობილია, ყაზახის მაზრა წარსულ საუკუნეებში მუდამ ეკუთვნოდა საქართველოს.

—

ადგილობრივ გერმანულ წყაროებიდან მიღებულ ცნობებით თბილისში ამ დღეებში ჩამოვა გერმანელთა მნიშვნელოვანი სამხედრო ნაწილი, რომელიც ამ ჟამად ფოთშია. იმავე წყაროებიდან მიღებულ ცნობების მიხედვით გერმანიაში შეუჩერებლივ ბიათ ქართველი სამხედრო ტყვეები, გაუწვრთვნიათ და საქართველოში გამოუგზავნიათ.

—

გერმანეთის კონსული ფოთში. არზრუმის ყოფილი ვიცე-კონსული გერმანეთის იმპერიისა ედგარ ანდერსი დაინიშნა ფოთის საიმპერატორო კონსულად საქართველოს მთავრობასთან.

## მოწოდება მეგრელებს

ყველასათვის თვალსაჩინოა, თუ რა საბედისწერო მდგომარეობაში იმყოფება დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა. მაშინ, როდესაც საერთაშორისო შეჯახებაში, უმაგალითო ქარცეცხლში იმსხვრევიან მთელი ერები და სახელმწიფოები, ისტორიამ უკარნახა ქართველ ერს თავისი დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა. და მართლაც, თუ ჩვენი ერი გამოიღებს მთელ თავის ძალ-ღონეს, თუ ის მზათ იქნება საჭირო მსხვერპლზე, ის შესძლებს წარმატების და განვითარების მიღწევას.

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ ამ უკანასკნელ დროს, სხვა უბედურებასთან ერთად ჩვენი თავდაცვის საქმეს ძლიერ ხელი შეუშალა სამეგრელოში მომხდარ აჯანყებებმა.

სამეგრელო ვალდებულია თავის დიდი შეცდომა გაასწოროს.

დღეს გარემოება მოითხოვს, რომ მთელმა ერმა, მჭიდროთ შეკავშირებულმა, განურჩევლად კლასისა, მდგომარეობისა და რწმენისა, იარაღით ხელში დაიცვას თავისი სამშობლო, თავისი კერა, შეინარჩუნოს თავისი თავისუფლება და ფიზიკური არსებობა.

ყველამ, ვინც საერთო ინტერესებს, თავისუფლებას და რევოლუციას თავის პირად ინტერესებზე მაღლა აყენებს, ვისი სულიც კვნესისაც ჯერ კიდევ არ შეუპყრია სასოწარკვეთილებას, ჩვენ მოგიწოდებთ დაუყოვნებლივ ჩაეწეროს [illegible]

# ქრონიკა

## თბილისი.

— ჩვენი მწერალი ნ. შილაშნია(?) ამჟამად ფილტვების ანთებით არის ავად.

მთავრობის ცნობით, 3 ივნისს შუადღის 2 ს. ყველა ფრონტზე სიწყნარეა.

— თბ. გუბ. კომისრის ცნობით საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრება ნორმალ კალაპოტშია ჩამდგარი. სოფლის სამეურნეო საქმიანობა დიდის სიხალისით მიდის. უცხოენოვან ჯარების ნაწილებს, რომელნიც საქართველოს ტერიტორიაზე არიან შემდგენილნი, იარაღს ართმევენ. რაიმე წინააღმდეგობა არსად არ შეხვედრიათ.

— თბ. მ. და ჯარ. საბჭოს სხდომა. 1 ივნისს შესდგა თბ. მუშ. და ჯარისკაცთა საბჭოს სხდომა, რომელზედაც ვ. ჯუღელმა მოხსენება წაიკითხა სოხუმის მხარეში წითელი გვარდიის მოქმედების შესახებ; ირ. წერეთელმა მომენტზე წაიკითხა მოხსენება. შემდეგ თავდაცვის საბჭოს წევრმა გერ. მახარაძემ კრებას ცნობები გადასცა ამ მოხსენებათა საგანზე. კამათი ღამის 2 საათამდე გაგრძელდა. საბჭომ გამოიტანა რეზოლუცია, რომლითაც მოწონებულ იქმნა საქართველოს მთავრობის მოქმედება. გამოითქვა და მიღებულ იქმნა აგრეთვე სურვილი შრომის ბეგარის მობილიზაციის მოხდენის და იძულებითი სეხის ცხოვრებაში გატარების შესახებ 1 კვირაში. იმავე სხდომაზე სოც.-რევ. წარმომადგენელმა სპექტორმა პროტესტი განაცხადა გაზ. „ზნამია ტრუდა“-ს დახურვის გამო. ამ საგანზე განმარტების შემდეგ, რომელიც აღმ. კომიტეტის ბიუროს წევრმა გ. მუხარინსკიმ, რომ გაზეთი აღმასრ. კომიტეტს კი არ დაუხურავს, არამედ მთავრობას. კრებამ დაადგინა სთხოვოს მთავრობას, რომ ამ გაზეთის საქმე სამე სამართლო გამოძიებას გადასცეს.

— გადასახადები. თბ. მუშ. და ჯარ.-კ. საბჭოს აღმ. კომიტეტმა მილიციის უფროსს წინადადება მისცა, დააპატიმროს 72 პირი, რომელთაც ძველი გადასახადები არ შეუტანიათ სულ 816,949 მან. და დაამწყვდიოს ისინი ვიდრე გადასახადს არ გაიღებენ. ამ პირთა შორის ბევრი ცნობილი მდიდრებია, როგორც მაგ. ყორღანოვი, ძიძიშვილი, ზუბალიშვილები, აბოვიანცი, წოვიანოვი, მანთაშოვი(?), ჯაფაროვი, ლალაიანცი, გურგენოვი, სოგომონოვი, ბებუთოვი, თაიროვი, იუზბაშევი, სვანიშვილი, დოლუხანოვი, ფუფლოვი, ყარალაშვილი, თამამშევი, ანანოვი, ვინოგრადოვი, ხუბლაროვი, ალიხანოვი, ერიცანი, სიხარულიძე, ფარგერი, მაიერი, დიტრიხი, რიზა-ოღლი, საგნახელი ხანი, მელიქ-აზარიანცი, გაბაევი და მირიმანოვი.

— ყალბი ფულების მკეთებლები. მე-9 კომისარიატის მილიციონერებმა აღმოაჩინეს ყალბი ფულის მჭრელები: არ. ტერ-არუთინოვი, პეტრ. პოლოსოვი, ალ. ალავერდოვი, კარ. ალახვერდოვი, ურიმან სუსანიანცი, და არტ. ტერ-მარტიროსოვი. ქალაქში აღმოაჩინეს მათ მიერ გამოშვებული 155920 მან. ფული სხვადასხვა ბლანკები, პასპორტები და სხვ. 2 მათგანს გაუძარცვავთ და მოუკლავთ „სასახლის ნომრებ“-ში თავის ამხანაგი, რომლის ლეშიც ქუთაისში გაუგზავნიათ ბაგაჟით.

— მკვლელობა. 2 ივნისს ღამე ავლაბრის მე-2 შესახვევში მოჰკლეს არტ. აკოფოვი.

— სამხედრო ტაძრის მმართველობა მთავრობის დადგენილებით ისევ ძველ საფუძვლებზე დარჩება. ღვდელთმსახურება ისევ რუსულ ენაზე იქნება.

— სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა კლუბი. კვირას, 2 ივნისს გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა კლუბი. საზეიმო სხდომა გახსნა სტ. ვოლსკიმ. წაკითხულ იქმნა მრავალი მილოცვები სხვა და სხვა ორგანიზაციებისაგან. ბოლოს გაიმართა მრავალფეროვანი საღამო.

— სამხედრო რეორგანიზაცია. მთავრობამ დაადგინა სთხოვოს მთავარსარდალს ეხლავე მოახდინოს აღნიშნული რეორგანიზაცია და დაბეჭდილი მოხსენება წარუდგინოს ეროვნულ საბჭოს სამხედრო კომისიას.

— ლიტველები საქართველოში. საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო ლიტველთა კავკასიის საოლქო საბჭომ აცნობა მთავრობას, რომ დროებით, ფორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებამდე ლიტვასა და საქართველოს მთავრობათა შორის, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ლიტველთა ინტერესების დამცველად და ლიტვის წარმომადგენლად თვით საბჭო იქნება, რაც უკვე აცნობა ლიტვის მთავრობას ვილნოში.

— ქართული ენის კურსები. სწავლა-განათლების სამინისტროში წინადადება შეიტანეს 1 გიმნაზიაში საღამოს კურსების გახსნის შესახებ, რომლებზედაც ქართულ ენას ასწავლიან არა ქართველებს.

— ლტოლვილები. სოფ. ეკატერინოფელდიდან კომისარი კრომერი გერმანელთა ეროვნულ საბჭოს ატყობინებს: „1 ივნისს ჩამოვიდნენ ბოლნისხაჩინიდან კარაკლისიდან გამოქცეული სომეხი ჯარისკაცები და ლტოლვილი მამაკაცები და ქალები, რომლებსაც იქ თათრებს ალყა შემოურტყამთ, იარაღი აუყრიათ და ბევრი ამოუხოციათ. დაჭრილთა და გადარჩენილთა რიცხვი ჯერჯერობით 100 არ აღემატება. ლტოლვილები სულ 450 კაცი ყოფილა, ყველანი გაუცარცვიათ ტანთ გახდამდის.

## პარტიული ცხოვრება.

— მთავარი კომიტეტის და ფრაქციის კრება. დღეს დილის 11 საათზე შესდგება მთავ. კომიტ. და ეროვნულ საბჭოს ფრაქციის კრება. განიხილება ფრაქციის საორგანიზაციო და სხვა მორიგი საკითხები. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

— მეორე რაიონში. 24 მაისს მოხდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქ. თბილისის მეორე რაიონის კომიტეტის არჩევა. თავმჯდომარედ აირჩიეს ი. ჯავახიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგად—გ. შალიბაშვილი, ხაზინადრად—ქ-ნი ა. ყაურიშვილისა; კომიტეტის წევრებად: სონღულაშვილი, ჩიქტაია, გუჯეჯიანი, ლუჩიძე; კანდიდატებად: ხუნდაძე, ლომაძე, ჭავჭანიძე.

29 მაისს ახლად არჩეულმა კომიტეტმა სამეურნეო ბანკში მოიწვია რაიონის წევრთა საზოგადო კრება, რომელსაც გააცნო მომავალ მუშაობის გეგმა. ამის შემდეგ ა. ასათიანმა და პ. გოთუამ წაიკითხეს მოხსენებები პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. სამწუხაროდ, კრება არ იყო მრავალრიცხოვანი.

## შეცდომის გასწორება

კვირის ნომერში დაბეჭდილ ა. ასათიანის წერილი „საქართველოს მწარმოებელთა კავშირში“, შეცდომებით დაიბეჭდა. მეორე სვეტში უნდა იყოს: 1861 წლის შემდეგ გერმანიის ყველა სავაჭრო პალატები ზოგიერთ მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ორგანოებთან ერთად ერთს ცენტრალურ ორგანიზაციაში Deutscer Handelstag-ში არიან გაერთიანებული; მესამე სვეტში უნდა იყოს: მხოლოდ მათი შეკავშირებული მტკიცე მუშაობა და სახელმწიფოს გონიერი პოლიტიკა თუ შეგვაძლებინებს შევინარჩუნოთ ის ეკონომიური პოზიციები, რომელნიც ჯერ კიდევ შეგვრჩენია და სხვ.

## ბრძოლა ბოლშევიკებთან დარიალში

ყაზბეგიდან პირდაპირის მავთულით გვაცნობენ დამატებით ცნობებს ბოლშევიკებთან მომხდარ ბრძოლის შესახებ.

ბრძოლის შემდეგ ჩვენმა რაზმმა პოლკოვნიკ აბესაძის მეთაურობით დაიკავა დარიალის ხიდი. ბოლშევიკებმა უკან დაიხიეს. ჩვენებს წამოუყვანიათ 27 ტყვე. დაჭრილები და მოკლულები მრავლადაა. მოკლულთა შორის აღმოჩნდა ბოლშევიკების კომისარი მიხეილ კასაევი. წამოყვანილია 1 ტყვიისმფრქვეველი, ტყვიისმფრქვევის ლენტი(?), მრავალი პატრონები, რამოდენიმე ათასი ვინტოვკის პატრონი, კარავი და სხ. დაჭრილები და ტყვეები ტფილისში შიშველნი(?) არიან. უმრავლესობა რუსებია, ურევიან ქართველებიც. დაჭრილებშია დაშვებული ქურდი გაბიცური(?). ჩვენი ზარალი—დაჭრილია 5 კაცი: ილარიონ გირამიშვილი, სოფ. ანოშა(?) მეხავურები(?), სპირიდონ მაღლაშვილი, ჯარის კაცები—ორაგულაშვილი, ჯირაშვილი და პეტაშვილი. მოკლულია: ბაბაძე.

ბრძოლის წინ ბოლშევიკებმა შემოგვითვალეს: 48 საათის განმავლობაში მთელი დარიალი დაცალეთო. ერთის საათის არ გაუვლია ამ ულტიმატუმის შემდეგ, რომ ჩვენებმა მათ ალყა შემოარტყეს და ბრძოლა გაუმართეს რაც სრულ მათის დამარცხებით დასრულდა. [illegible] სადამის(?) დარიალს მოაწყდა ლტოლვილები 500-დე ფურგონით—რუსები და ოსები. ბოლშევიკებმა ჯერ ისინი არ გაუშვეს, მაგრამ შემდეგ დასთანხმდნენ და გაუშვეს.

აბესაძემ გამოკითხა ტყვე ბოლშევიკებს—როგორი ჯარები გყავთო, მათ მიუგეს—ისეთი, როგორც ჩვენ ვართო. ბოლშევიკებს ბრძოლაში ზარბაზნებიც ჰქონდათ.

## ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კრება

კვირას 2 ივნისს, 1918 წ. შესდგა ქართულ კლუბის სახაფხულო შენობაში, გაგრძელება თბილისის ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კრებისა, რომელზედაც დაესწრო 200-მდის ვაჭარ-მრეწველი. კრებას ხელმძღვანელობდა იასონ ლორთქიფანიძე, რომელმაც მიესალმა კრებას. დღიური წესრიგი. კრებას დაესწრნენ აგრეთვე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარ კომიტეტის წევრები: ალექსანდრე ასათიანი, [illegible] და შალვა ქარუმიძე. ალექსანდრე ასათიანი მიესალმა საქართველოს ვაჭართა და მრეწველთა კავშირს, აღნიშნა მწარმოებელთა შეკავშირებული მუშაობის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიური ცხოვრების განსამტკიცებლად.

ორატორმა იქვე გამოსთქვა რომ საქართველოს მწარმოებელნი მტკიცედ და მხნედ შეუდგებიან მუშაობას და მით ხელს შეუწყობენ საქართველოს ეკონომიურ აღორძინებას რაც გააძლიერებს საქართველოს ყოველმხრივ, და მის პოლიტიკურ ცხოვრებასაც სადა მიმართულებას მისცემს. შემდეგ კრებამ მოისმინა და დაამტკიცა კავშირის ხარჯთაღრიცხვა, რის შემდეგაც შეუდგა კავშირის გამგეობისა და საბჭოს არჩევნებს. ასახელებენ გამგეობის შემადგენლობას. თავმჯდომარედ ასახელებენ ნიკოლოზ წერეთელს და ალექსანდრე ჯაბადარს. გამგეობის წევრებად ივანე ვარაზაშვილს, დათიკო კალანდაძეს, ნიკოლოზ გაბაშვილს და იოსებ ხვედელიანს. ნიკ. წერეთელი, ნიკ. გაბაშვილი, და ივანე ვარაზაშვილი უარს ამბობენ თავის კანდიდატურაზე, ხმის უმრავლესობით იქნენ არჩეულნი გამგეობის თავმჯდომარედ ალექსანდრე ჯაბადარი და გამგეობის წევრებად: დათიკო კალანდაძე და იოსებ ხვედელიანი. საბჭოს წევრებად, ხმის უმრავლესობით იქნენ არჩეულნი: ნიკოლოზ წერეთელი, პავლე გოთუა, ვასილი ბერულაშვილი, ალექსანდრე ლორთქიფანიძე, ადამ ბერულაშვილი, ივანე ვარაზაშვილი, რაჟდენ [illegible], ივანე [illegible] კოპაძე, ნიკო სიხარულიძე, ალექსანდრე ზაქაიძე, ვასილ ზურაბიშვილი, სპირიდონ მენდუქიძე.

რაც შეეხება კანდიდატების ამორჩევას და სარევიზიო კომისიას გადაიდო შემდეგისთვის. კრება იხურება ხუთის ნახევარზე.

## მწყემსების გაჭირვება

დღეს ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ახალქალაქიდან დაბრუნებული ქიზიყელი მწყემსი იასებ ლამაზაშვილი და შემდეგი გვიამბო. ლამაზაშვილი და ექვსი ბინა სხვა ცხვარი (50,000 სული), პირველი გასულა შირაქიდან საზაფხულო საძოვრებით თრიალეთისაკენ. გზა ნამდვილი ბრძოლით გაუკვლევიათ. ჰქონიათ მრავალი წვრილმანი შეტაკება და ერთი კი ნამდვილი ბრძოლა მაჰმადიანების დიდ ბრბოსთან. ყარაიაზთან ცხვარს თავს დაესხნენ მაჰმადიანობა. ჩვენებს დაუკლავთ თორმეტი კაცი, მაჰმადიანებისთვის კი ას-ოცი კაცი მოუკლავთ. ტანჯვა-წვალება ამითი არ გათავებულა. ჩვენის საბალახოები, საძოვრები(?) და საჯარო მამულები მაჰმადიანებისაგან გამორეკილ სომხებს დაუჭერიათ. ძალით ძლივს დაბინავებულა გატანჯული ხალხი.

მაზრაში მტკვრის გაღმა სომხური სოფლები მთლად განადგურებულია. დიდად დაზარალებულია ქართული სოფლებიც. თავდასხმა სომხებს დაუწყიათ შემდეგ მაჰმადიანებს გაუნადგურებიათ სოფლობა და ქართველებიც ზედ მიაყოლებიათ, ვარძია დარბეულია და დღეს იქ მაჰმადიანებია. თვით ახალქალაქი განადგურებულია. მცხოვრებლები გამოხიზნულია.

მისივე გადმოცემით მაზრაში მოქმედი მაჰმადიანები სულ ადგილობრივი მკვიდრია.

მეორე მწყემსის ლევანა თარაშვილის გადმოცემით ასეთივე წვალებას განიცდიან გზაში სხვა მეცხვარეებიც. მას და მის ამხანაგებს დასცემიან თათრები სართიჭალის ქვემოთ ქვაკასთან, მოუკლავთ ხუთი ცხვარი, სამედნიეროთ კაცის მიხვედრილი(?) არა ყოფილა.

ახლა განკარგულებას იარაღის ტარების შესახებ საშინელ მდგომარეობაში ჩაუყენებია ჩვენი მწყემსები. გზაში მყოფთ და აქეთ-იქით გაფანტულთ ვერ მოუსწრებიათ მოწმობების შეცვლა და წითელი გვარდია იარაღს ჰყრის. საჭიროა მთავრობამ რაიმე ზომა მიიღოს.

## მეურნეთა საყურადღებოდ

26 მაისს ისტორიულმა აქტმა ჩვენი ეროვნული ცხოვრება და მასთან ერთად სასოფლო მეურნეობა სულ ახალ პირობებში ჩააყენა.

თუ აქამდე იგი ღვთის ანაბარად იყო მიტოვებული, დღეს მას გაუჩნდა ერთად პატრონი და გულშემატკივარი: მე ვგულისხმობ ჩვენს საკანონმდებლო დაწესებულებას.

[illegible] გარეშე, იგი ჩვენი მეურნეობის აღდგენა-აღყვავებას თვის მოქმედების პირველივე წყებაში მოაქცევს და მის მოწყობის დროს ყველაზე უწინ თვით მეურნეებს დაეკითხება.

მაგრამ მეურნეც არის და მეურნეც. უწინაც ძველი რუსმთავრობის დროსაც სჩვევიათ დროგამოშვებით, მართალია იშვიათად, მეურნეთა სათათბიროდ მოწვევა, როცა გადასაწყვეტი იყო ესა თუ ის საკითხი მეურნეობის შესახებ, თუმცა მეურნეობისათვის მის დღეში არა გაკეთებულა რა, მაგრამ იწვევდნენ ხოლმე არა ისეთ კაცს, რომელიც მეურნეთა ან წარმომადგენელი, ან მათი ინტერესის დამცველი ყოფილიყოს, არამედ ისეთს, რომელიც თავიანთ ფორმისათვის დასამშვენებლად და ამავე დროს ამა თუ იმ ადმინისტრაციასაც ამშვენებდა.

ამით სრულებით იმისი თქმა არ მინდა თითქოს ახლაც ასეთი რამ მოხდებოდეს, მაგრამ თუ ჩვენს მეურნეებს ჩვენი საკუთარი ორგანიზაცია და ჩვენი ინტერესის დამცველი წარმომადგენლები არ გვეყოლება ადვილად შესაძლოა, რომ როცა კი ჩვენ საკანონმდებლო დაწესებულებას სამეურნეო საკითხების გასარჩევად სათანადო პირნი დასჭირდება, იქ შემთხვევითი პირები მოხვდებიან.

მგონი განმარტება ზედმეტია, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ კანონს მთლად მეურნეობისა და მის სხვადასხვა დარგის ზრდა-განვითარებაზე.

საკმარისია მოვაგონო მეურნეთ, რომ ერთ დროს, დაბალმა იტალიურმა ღვინოებმა კინაღამ დაჰღუპეს საფრანგეთის მაღალხარისხოვანი მევენახეობა, კანონმდებლობა რომ დროზე არ დახმარებოდა სამშობლო მეურნეობას, რითაც სრულ დაღუპვას გადაარჩინა რამდენიმე ასი ათასი ფრანგი მევენახე.

ჩვენი ქვეყნის ყველა ჯურის და პროფესიის დიდი ხანია მოეპოვება თვისი ინტერესის დამცველი ორგანიზაციები. ასეთებია: მუშათა და ვაჭარ-მრეწველთა პროფესიული კავშირები, მხოლოდ ჩვენ ვართ კვლავ დაქსაქსულები და შეუმზადებელნი ჩვენი თავის საპატრონებლად.

დაიღუპა მრავალი მეურნეობა, მთავრდება ჩვენს ქვეყანას დიდი ძალი სამეურნეო პროდუქტი, რომელსაც წლიურად იძლეოდნენ ესა თუ ის კულტურული მეურნეობანი, გაჰქრნენ რამდენიმე 10 ათასი ფ. ერბო, ყველის მომცემი ამტრების, ყავრიშვილების, კეზელების და სხვათა ეკონომიები; [illegible] საშუალომოთ ნახევარ [illegible] მოშენებული ნაშენიერი ტიპი ქართულ-ევროპული საქონლისა, აიჩხა ძვირფასი ას დღიურიანი ბაღი მიხეილ სუმბათაშვილისა, სადღეს კოსტა ამირეჯიბის მეურნეობა.

ვინ მოსთვლის ყველა დაღუპულ მეურნეობას, ვინ დასთვლის მეურნეთა საშინელ ზარალს!

ათასობით დახეტიალებენ უსაქმოთ ისეთნი პირნი, რომელნიც გათენების ოთხი საათიდან დაღამებამდე ტიტანურ შრომას არიან მიჩვეულნი; სხვათა გამომკვებელნი, აწ სხვის ხელში პაცქერალნი(?) გამხდარან.

ბევრს ჩვენს მეურნეს, ცოლშვილით და შრომით შესანიშნავს, მეურნეობაზე გული აუცრუებია და თვით სხვათა ქვეყნებში გადასახლება განუზრახავს.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა ძლივს ეღირსა ნეტარ თავისუფლებას, ყოველი მომქმედი, მით უმეტეს მეურნე, დიდათ საჭიროა მისი აღყვავებისა და გაძლიერებისათვის. ყოველი ჩვენგანი მოვალეა ასეთი პირი გაამხნევოს და დააკავოს სამშობლოში. მტკიცე იმედით უნდა შევეგებოთ ჩვენს ნორჩ საკანონმდებლო ორგანოს მომავალ მუშაობას და თვით ჩვენც შევუმზადოთ მას საშველი საქართველოს მეურნეობის აღდგენა-მოწყობისა და მის განვითარების საქმეში.

მაგრამ ამისთვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა საქართველოს მეურნეთა კავშირის დაარსება.

[illegible] 26 მეურნეთა კერძო თათბირის მიერ არჩეულმა კომისიამ დაამზადა უკვე წესდება ამგვარის კავშირისა და დაბეჭდილს უმალ დაუგზავნის ყველას მასში ჩასაწერათ და საბოლოოდ.

ივ. ციციშვილი.

P. S. ვთხოვ სხვა გაზეთებს ეს წერილი გადაბეჭდონ თავის მკითხველ მეურნეთა საყურადღებოდ.

ი. ც.

## სახელმწიფოებრივი ცვლილება უკრაინაში

28 აპრილს კიევში მოხდა დიდი ცვლილება უკრაინის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ცენტრალ რადის კრებაზედ, რომელიც ამ დროს მსჯელობდა რადის მთავრობისა და ადგილობრივ გერმანელ სამხედრო ხელისუფლთა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების შესახებ, შემოყვანილ იქმნა რაზმული გერმანელი ჯარის კაცი. გერმანელ აფიცერმა გერმანიის მთავრობის სახელით მოსთხოვა რადას წევრთ ადგილიდან არ დაძრულიყვნენ და შემდეგ დაკითხვისა შეუდგა ჩხრეკას. ამ ინციდენტმა, რომელმაც, რასაკვირველია, დიდი აურზაური გამოიწვია დამსწრეთ, ცხადჰყო, თუ რამდენად ყოფილიყო ფესვი გამდგარი ურთიერთობა გერმანელთა საოკუპაციო ხელისუფალთა და უკრაინის პოლიტიკურ ცხოვრების მაშინდელ ხელმძღვანელთა შორის. როგორც შემდეგ რადას მიერ გერმანიის სარდლობაში გაგზავნილ დეპუტაციის ცნობიდან გამოირკვა, საბაბად ამ ინციდენტისა იყო ის გარემოება, რომ მთავრობის ზოგიერთ წევრს, გერმანელების აზრით, კავშირი ჰქონდათ კიევის ერთ-ერთ ბანკის დირექტორის დაკარგვის ფაქტთან. ამ დაკარგვას კი გერმანელები პოლიტიკურ ხასიათს აძლევდნენ იმ ურთიერთობისა გამო, რომელიც ჰქონდა დობრის გერმანიის მთავრობასთან.

მეორე დღეს უკრაინის მიწათ-მოქმედთა ყრილობამ, რომელმაც დაიჭირა რადას პოლიტიკის წინააღმდეგი პოზიცია, ამოირჩია უკრაინის გეტმანი და მისცა მას ახალი სამოქმედო პროგრამა. ეს პროგრამა ცხადად სჩანს გეტმანის მანიფესტიდან უკრაინის ერისადმი, რომელიც გამოიცა იმავე 29 აპრილს.

### გეტმანის მანიფესტი

უკრაინის მოქალაქენო! ყველას ახსოვს ის უკანასკნელი დროის ფაქტები, რომლებსაც უკრაინის საუკეთესო შვილთა სისხლი ღვარივით სდიოდა და ახლად აღმოცენებული ჩვენი სახელმწიფო უფსკრულის პირას იდგა. ის იხსნა დაღუპვისაგან მხოლოდ ცენტრალ სახელმწიფოთა მძლავრმა დახმარებამ, რომელნიც ეხლაც განაგრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ, დადებულ სიტყვის თანახმად, უკრაინის მთლიანობისა და მშვიდობიანობისთვის ბრძოლას. ამ დახმარების გამო ყველას იმედი განუცხოველდა, რომ ჩვენს ქვეყანაში აღდგენილ იქნება წესი და ჩვენი ეკონომიური ცხოვრებაც ნორმალურ კალაპოტში ჩადგება. მაგრამ იმედები არ გამართლდა. ყოფილი უკრაინის მთავრობა სრულიად გამოუსადეგარი გამოდგა. უწესოება და ანარქია, ეკონომიური ცხოვრების არევ-დარევა იზრდება დღითი-დღე, ასე რომ ოდესღაც მდიდარ უკრაინას ეხლა სიმშილობის აჩრდილი დასტრიალებს თავს.

ამ გარემოებაში მშრომელი წრეები უკრაინისა აზობოქრდნენ და გამოვიდნენ კატეგორიული მოთხოვნილებებით, რომ დაუყოვნებლივ შემდგარიყო ისეთი მთავრობა, რომელიც შესძლებდა უზრუნველ ეყო მშვიდობიანობა, კანონიერება და ხალხის ნაყოფიერი მუშაობა.

როგორც უკრაინის ერთგულმა შვილმა, მე გადავწყვიტე ყურად მეღო ხალხის ხმა და ამისდა მიხედვით ვიტვირთე დროებით სრული ძალა-უფლება.

ამ აქტით მე ვაცხადებ ჩემს თავს უკრაინის გეტმანად.

ქვეყნის მართვა-გამგეობას მე ვაწარმოებ ჩემ მიერ დანიშნული მინისტრთა კაბინეტის საშუალებით, თანახმად ახლად გამოქვეყნებულ კანონისა უკრაინის სახელმწიფოს დროებით მოწყობის შესახებ. ცენტრალი და მცირე რადა და აგრეთვე ყველა სადგილმამულო კომიტეტები ამ დღიდან დათხოვნილია, აგრეთვე მინისტრები და მათი თანაშემწეები. დანარჩენნი ხელისუფალნი რჩებიან თავის ადგილზედ. მათ უნდა განაგრძონ თავისი მოვალეობის აღსრულება.

ახლო მომავალში გამოცემული იქნება კანონი უკრაინის სეიმის არჩევნების შესახებ...

კერძო საკუთრების, როგორც კულტურისა და ცივილიზაციის საფუძვლის, უფლება აღდგენილია მთელი თავისი სივრცით. ყველა უკრაინის ყოფილ მთავრობის ან რუსეთის დროებით მთავრობის განკარგულებანი, მიმართულნი ამ უფლების შეზღუდვისაკენ, გაბათილებულია. ამით აღდგენილია აგრეთვე სრული თავისუფლება მიწის ყიდვა-გაყიდვისა.

ამასთან მიღებული იქნება ზომები, რათა მსხვილ მემამულეთ ჩამოერთვას მიწები საფასით და გადაეცეს მცირემამულიან მიწათმოქმედთ.

მუშათა კლასის უფლება მტკიცედ უზრუნველყოფილი იქნება. განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული რკინის გზის მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ეკონომიურ და ფინანსიურ სფეროში აღდგენილ იქნება ვაჭრობის სრული თავისუფლება."

დასასრულ გეტმანი აცხადებს, რომ ის ხელმძღვანელობს არა რაიმე პირადი მიზნებით, არამედ მარტოოდენ ქვეყნის კეთილდღეობის აზრით.

### დროებითი სახელმწიფოებრივი წესწყობილება უკრაინაში

უკრაინის გეტმანის პაოლო სკოროპადსკის და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიკოლა უსტიმოვიჩის ხელისმოწერით კიევში 29 აპრილს გამოცხადდა კანონი უკრაინის სახელმწიფოებრივ წესწყობილების შესახებ. ამ კანონის თანახმად, მართვა-გამგეობის უფლება მთელი თავისი სივრცით ეკუთვნის უკრაინის გეტმანს. გეტმანი ამტკიცებს კანონებს, ნიშნავს და ითხოვს როგორც მინისტრთა კაბინეტს, აგრეთვე სხვა ხელისუფალთ, რომელთა დათხოვნის შესახებ განსხვავებული წესი არ არსებობს. იგივე არის უმთავრესი ხელმძღვანელი უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობის საქმეში, უზენაესი წინამძღოლი ჯარისა და ფლოტისა, მასვე აქვს საომარ და საალყო წესების გამოცხადების უფლება, მის კომპეტენციას შეადგენს პატიება დამნაშავეთა, შემცირება სასჯელისა, სასამართლოს საქმის შეჩერება—მოსპობა და სახაზინო გადასახადთა პატიება. გეტმანივე ნიშნავს უკრაინის გენერალურ სასამართლოს თავმჯდომარეს და წევრებს. ეს გენერალური სასამართლო თავისი კომპეტენციით უდრის რუსეთის დროინდელ უმართებულეს სენატს.

მართლმადიდებელი სარწმუნოება უკრაინაში არის უპირატესობის მქონი.

კანონის სხვა მუხლებს შორის ყურადღებას იქცევს შემდეგი:

„უკრაინის ყოველ ყაზახს და მოქალაქეს აქვს უფლება თავისუფლად ამოირჩიოს თავისი საცხოვრებელი ადგილი და ხელობა, შეიძინოს და გასცეს თვისი ქონება. უკრაინის საზღვარს გარედ გასვლაც არავითარ დაბრკოლებას უკრაინის ყოველ მოქალაქისათვის არ განიცდის. განსაკუთრებული კანონები, გამოცემული ცალკე რაიონებისათვის, ან მცხოვრებთა ამა თუ იმ ნაწილისათვის, რჩებიან ძალაში.

საკუთრება ხელშეუხებელია. იძულებითი ჩამორთმევა საკუთრებისა, რომლისაც ამას საჭიროება მოითხოვს, შეიძლება მოხდეს მხოლოდ შესაფერი სასყიდლის გაღებით".

უკანასკნელი ორი მუხლი გულისხმობს ებრაელთა უფლების შემზღუდველ ნორმების აღდგენას და მიწის სოციალიზაციის პროექტის უკუგდებას.

## კორესპონდენცია

### ერწოდან
(თიანეთის მაზრა)

ამ ჟამად აქეთ ცარცვა-გლეჯა შესამჩნევად შემცირდა. მიზეზი ის არის, რომ ერწოში დამცველი რაზმი შესდგა, გელოვანის მეთაურობით. რაზმი შესდგება სამოცზე მეტი ყმაწვილი კაცისაგან. ეს რაზმელები, ნაწილ-ნაწილ დადიან სხვა და სხვა სოფლებში; მათ ბევრგან აღმოაჩინეს ყაჩაღების პურის მცემელები, გზის მაჩვენებლები და შემნახველები. ხალხი კმაყოფილია რაზმელებისა და ყველგან თანაგრძნობას უწევენ.

გაზაფხულის ხვნა-თესვა გათავდა. ვისაც თავის დღეში კვალი არ გადაებრუნებინა, წელს ხვნა-თესვად გადაიქცა; ჯერ-ჯერობით ნახნავ-ნათესობას მშვენიერი პირი უჩანს; ჯერჯერობით ყველაფრის მშვენიერი მოსავლის იმედი არის.

მეცხვარეებს შირაქიდან ცხვარი თრიალეთისკენ ვეღარ მიუდით, არამედ მხოლოდ ფშავ-ხევსურეთის მთებისკენ. ბევრი მეცხვარე მოდის დალონებულ-დაძმარებული თათრებისგან; მაგალითებრ ყაყიჩაშვილებისთვის სხვილფეხ საქონლის გარდა, ათასი სული ცხვარი წაურთმევიათ და გუგუტაშვილებისთვის ხომ მილიონზე მეტი ზარალი მიუყენებიათ.

ახლა საბრალო მეცხვარეები ქისტების შიშში არიან, ამ ზაფხულს არ მოგვასვენებენო. საჭიროა თიანეთის სამაზრო კომისარიატმა დროზე ზომები მიიღოს მთებში ქისტების გადმოსავალ გზებში ყარაულების ჩაყენებით. მეცხვარეები ყარაულებისთვის ჯამაგირების მიცემაზე თანახმანი არიან...

ქართველთა თხებში ნამყოფი.

### ზესტაფონიდან

პარასკევს, მაისის 24 (ახალი სტილით), მოხდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრთა კრება, რომელიც იყო გაგრძელება 22 მაისს მომხდარი კრებისა. კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგმა ზ. იაშვილმა გააცნო საზოგადოებას მიზანი ყრილობისა—ერობის შემოღება, გააშუქა ეს საკითხი ყოველის მხრივ და დასასრულ მოუწოდა ყველას ერთსულოვნებით გატარებია ცხოვრებაში რისთვისაც, არ უნდა იქნას დაზოგვილი არც ზნეობრივი და არც ნივთიერი ძალები. უჩვენა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ამ არჩევნებში გამოდის ცალკე სიით, რადგან ესდეკების პარტიამ 48 ხმოსანში, პარტიათა შორის შეთანხმების დროს, ჩვენს პარტიას მხოლოდ 7 კანდიდატი უწყალობა, რაც მათივავე სიტყვით, აიხსნება ბოლშევიკების მოიოდებით. კრებამ იქონია მსჯელობა ამის შესახებ და არჩეულ კომისიას დაავალა ახლავე შეუდგეს თვისი მოვალეობის აღსრულებას ამ საქმის მოსამზადებლად და შესაფერისს დონეზე დასაყენებლად. ნაცვლად კომიტეტის წევრის ბ. გედევანიშვილისა საზოგადოებამ აირჩია აგრონომი ბ. მაჭავარიანი. კომიტეტმავე მიიწვია კოოპტაციით წევრად თავისს შემადგენლობაში ნ. გაჩეჩილაძე.

დასასრულ აირჩიეს სამი წევრი ზესტაფონის ქალ-ვაჟთა გიმნაზიების სამზრუნველო საბჭოში, რომლის რეორგანიზაციის საკითხი გადაწყდება კვირას, 26 მაისს. იმ დღისათვის დანიშნულია საზოგადოების კრება საბჭოს მოქმედების განსახილველად და ახალი საბჭოს ასარჩევად.

მფრენ მცირე

## თეატრი და ხელოვნება

### დ. ი. არაყიშვილის კონცერტი

ეს მეორე კონცერტი გაიმართა დ. ი. არაყიშვილის მხრით. ორთავე ფრიად საინტერესო იყო. დამახასიათებელია ერთი მოვლენა: ჩვენი საზოგადოების გულგრილობა. სჩანს, სულის პარფიუმერია ჯერ სათანადოდ არაა ჩვენს საზოგადოებაში შეტანილი. რთული და დამუშავებული მუსიკალური ნაწარმოებისთვის ჯერ არა ვართ საკმარისად მომზადებულნი, მაშინ როდესაც ისეთი ვულგარი მუსიკა, როგორიცაა არშინ-მალ-ალანისა, გვართობს, გვიტაცებს, გრძნობათა ღიტინი გვატკბობს.

რაც შეეხება თვით დ. არაყიშვილის მუსიკას, საბედნიეროდ უნდა აღინიშნოს, რომ მასში ძლეულია ჩვენში ასე რიგად გახშირებული დილეტანტიზმი. საკმარისია მოისმინოთ თუნდა ერთი ნაწარმოები, რომ დარწმუნდეთ—თქვენს წინ სდგას მუსიკის ბატონი, მაესტრო, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

მისი კომპოზიციები ალერსითა და გრძნობით გატკბობთ. ცქრიალა „საარშიყო", ვიოლონზე აქვეითინებული „ელეგია"—უკვე სარჩულია ქართველის მზიური დარდიმანდული ბუნებისა ერთის მხრით და მეორე მხრით ამავე ბუნების სევდით ნაქსოვი პირბადე, ნისლ მორევით რომ შეუპყრია მის სულის გიშრის თვალნი...

ერთი რამაა აღსანიშნავი: სევდაც და სიხარულიც ვოკალურ კომპოზიციებში ჰაეროვანია, სწრაფად კვეთილი, რადგაც გამოურკვეველ განცდაში ხართ, თითქოს მეტის მოლოდინში იყავით, თითქოს კიდევ „რაღაცა" უნდა თქმულიყო, მაგრამ ეს „რაღაცა" ადრევე ჩაქრა: ნაღველიც და დარდიმანდული აღმაფრენა „დაირით ხელში" მაგალითად, საჭიროებენ განცდათა მხილველობის დასრულებულ ფორმას, თორემ ექსპრომტებისა და ნაწყვეტების სახეს იღებენ.

სამაგიეროდ არაყიშვილი ძლიერია სიმფონიაში. აქ მას კომპოზიტორის უპირველეს ადგილი ეკუთვნის. „ქართული რაფსოდია" და „ორმუზდის ჰიმნი"—შედევრებად უნდა ჩაითვალოს ქართულ მუსიკალურ შემოქმედებაში. პირადად ჩემს თვალწინ გარდაიშალა წარმართულ საქართველოს ძლიერი სული, რის ჩაქრობაც საუკუნეებით ვერ შესძლო ოცი საუკუნის განმავლობაში ქრისტიანობის ქარტეხილმა! წარმართულ სიგალობელთა აღდგენა, მათი მხურვალე დამუშავება,—არაყიშვილისადმი მხოლოდ უღრმეს მადლობას გვათქმევინებთ".

საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო „თუშის ქალის ცეკვა" და გაამეორებინა კიდეც არა იმიტომ, რომ „ცეკვა" უფრო გასაგები იყო, ვიდრე რთული „ორმუზდის ჰიმნი", არამედ იმიტომ უფრო, რომ იგი თვით სიცოცხლის სამაისო ცეკვაა...

საზოგადოდ კონცერტი მრავალ მხრით იყო საინტერესო. მოლოდინში ვართ მთელი ოპერაც მალე ვნახოთ.

დ. კ—ძე


## საქართველოს ეროვ.-დემოკ. პარტიის ქ. თბილისის მეორე რაიონის

კანცელარია მოთავსებულია „საქართველოს" რედაქციაში. ახალ წევრთა ჩაწერა, საწევრო გადასახადის და ღლიურ შემოსავლის მიღება, შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდის და საღამოს 6—8 საათამდის. 7—8

## ქართული კლუბი

სამშაბათს 4 ივნისს 1918 წ. (ახალი სტილით)

ჟურნალ „თეატრი ცხოვრება"-ს სასარგებლოთ

ქართული ძველი დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ოპერეტი

# არშინ მალ-ალან

4 მოქმ. გაჯიბეკოვისა, თარგ. ვანო გუგუშვილისა

ასკერას როლს შეასრულებს მ. ჯანოევი. ანტრაქტებში იქნება სხვა და სხვა გასართობები: ფოსტა, ამერიკული აუქციონი, ყვავილები, სიმღერა, მუსიკა, ცეკვა. ბილეთები იყიდება ყოველ დღე კასაში. დასაწყისი საღამოს 8 ნახევარ საათზე.

დირიჟორი ხიმონა.

გამგე ვანო გუგუშვილი. (1—4)

## იყიდება პირველი ხარისხის
# რესტორანი

თავის მორთულობით. მოხერხებულს ადგილზედ. ცნობების მიღება შეიძლება ი. კ. რაზმაძესთან 11—2 საათამდე დღისით და 5—8 საათამდე საღამოთი. თეატრის ქუჩა № 4—სასტუმროების პატრონთა ბიურო. 3—1638—2

# სამკურნალო

## სამხედრო სპეციალისტ-ექიმების—გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

დიდ ვანქის ქუჩა № 8. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელ. № 481.

ექიმი ასპიზოვი—ყელის, ყურის და ცხვირის. ყოველდღე 12—1 საათამდის.
ექ. ახვლედიანი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 11—12 ს.
ექ. ბილლანიშ—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 10—11 ს.
ექ. ჩუდნოვსკი—ნერვების, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკეობით 12—1 საათ.
ექ. ერმოლაევი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 1—2 ს.
ექ. ბოგუსლავსკი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 12—1 ს.
ექ. მაზჩენკო—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე საღ. 3—4 ს.
ექ. სურიასოვი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 4—5 ს.
ექ. მეინაკ—თვალების ავადმყოფობის. ორშ., ოთხშ. და პარასკეობით 2—3 ს.
ექ. იგანოვი—თვალების ავადმყოფ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით 2—3 ს.
ექ. ყალამქაროვი—ქალთა და საბებიო. ყოველდღე 1—2 ს.
ექ. ნოვიცკი—ქალთა და საბებიო. ყოველდღე 2—3 საათ.
ექ. ქალი იოხელსონი. ქალთა და საბებიო. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 11—12 ს.
ექ. ქალი ფირალოვი—ქალთა და საბავშვო სამშაბათობით, ხუთშაბათობით შაბათობით და კვირაობით. 11—12 ს.
ექ. შამაში—ქირურგიული (დოსტაქარი). ყოველდღე 11—12 საათზე.
ექ. ფირალოვი—ქირურგი. ყოველდღე $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათამდე.
ექ. ბარნაშვ-ტროცკაია—სალოსტაქრო ავადმყოფ. ყოველდღე 2—3 საათ.
ექ. ცანდერი—სალოსტაქრო ავადმყოფ. ყოველდღე 4—5 საათ.
ექ. პეკელის—კანის და ვენერიულ ავადმყოფობის. ყოველდღე 12—1 ს.
ექ. არხიპოვი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფობის 4—5 საათ.
კბილის ექ. ალიხანოვი—ყოველდღე 10—12 საათ.
კბილის ექ. ნურალოვი—ყოველდღე 3—5 ს.

ოპერაციები მორიგებით, კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ანალიზი, პიპოზი, მოსამსახურეთა და ძიძების გასინჯვა, სათვალეების შერჩევა. ფასი დარიგებისათვის 1 მ. 50 კ. 100—94

### ექიმი
## მ. ი. ზანდუკელი

ასსისენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (პსიხოტერაპით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღევის 3 ს.—5 საათამდე. ოლღას ქუჩა № 22.

### ექიმი
## ლონხინი

პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასსისენტი იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს

დილის 10—12 ს. საღ. 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76. (საიკინის კბილის სამქიმო).

ტელეფონი 7—38.

## მარტის 20 გაიხსნა ახალი
# სამკურნალო

უკავშირ(?) ავადმყოფთათვის ექიმ ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანის

საავადმყოფოში იღებულობს კბილის სამქიმო კაბინეტი; ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კიროჩინის" ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩხის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

### ექიმი
## მ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და ხახხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბონ-მონდის" პირდაპირ. თ—1018—49

### სამკურნალო კაბინეტი ექიმ
## ალექსანდრე დავითის ძის
# პაპალიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებთა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ბაიერს" პირდაპირ ტელეფონი 14—28.

### ექიმი
## ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქორებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. თ—1536—30

### ქირურგი მეანისა
## მოსე ანთიმოსის ძე
# კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელ. № 17—21.

### ექიმი
## დიმიტრი (რამინ) იოსების ძე
# ჟორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, დიდუბე. ტელეფონი 14—37 1თ—960—58


სტამბა „ცნობ[illegible]" [illegible] № 4.